ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 440

"27" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2017 წელს შტატგარეშე მოსამსახურეების ხელშკერულებით ასაყვანად წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 61-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2017 წელს შტატგარეშე მოსამსახურეების ხელშეკრულებით ასაყვანად, დაწესდეს წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 60 000 (სამოციათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი გაიზარდოს 1300 (ერთიათასსამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისზღვროს შესაბამისი პროპორციით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2016 წელს შტატგარეშე მოსამსახურეებისთვის ხელშეკრულებით ასაყვანად წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №495 განკარგულება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

4. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**